

საგრანტო პროგრამა -
„დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“

1. საგრანტო პროგრამის აღწერა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ახორციელებს საგრანტო პროგრამას - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“.

აღნიშნულ საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე საქართველოს მოქალაქე უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებს.

პროგრამის არსია, საქართველოს მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამჭვირვალე კონკურსის გზით მოახდინონ საკუთარი იდეების რეალიზება, რაც დიასპორულ საქმიანობას კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის და საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შორის კავშირის გაღრმავებას ქმედითად შეუწყობს ხელს.

2. საგრანტო პროგრამის ამოცანა და მიზანი

„დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ პროგრამის მიზანია, ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, სახალხო დიპლომატიის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის, სამშობლოში დაბრუნებისა და თანამემამულეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

„დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ პროგრამის ამოცანაა, დიასპორაზე მიმართული ინიციატივების დაფინანსების მექანიზმის შექმნის გზით დიასპორასა და სახელმწიფოს შორის კავშირების გაღრმავება.

3. გრანტის გაცემის პრინციპები

გრანტი გაცემა თავისუფალი კონკურენციის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, ხარჯთეფექტურობის, კანონის წინაშე თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კოორდინირებულობის პრინციპის დაცვით.

4. გრანტის ოდენობა

4.1. საგრანტო თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 500000 ლარს.

4.2. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ კანდიდატს გადაეცემა არაუმეტეს 30000 ლარი.

4.3. სამინისტროსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პირს შორის ფორმდება გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ ხელშეკრულება.

5. საგრანტო პროგრამის დაფინანსების წყარო

სამინისტროს მიერ თანხის გამოყოფა ხორციელდება „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილი 2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის 9.1.4 ქვეპუნქტის „დიასპორული პოლიტიკის“ (პროგრამული კოდი 28 01 04) ფარგლებში.

6. საგრანტო კომისია

6.1. საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღების, განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია - „საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“.

6.2. მონაწილე კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება ორ ეტაპად (აპლიკაციების გადარჩევა/ დოკუმენტების შეფასება, გასაუბრება).

7. საგრანტო განცხადების წარდგენა

7.1. საგრანტო განცხადების წარდგენის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს.

7.2. განმცხადებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტები:

- დადგენილი ფორმის მიხედვით შევსებულ განცხადებას (დანართი N2);
- საგრანტო წინადადებას;
- ერთ ფოტოსურათს;
- CV ქართულ ენაზე;
- ID ბარათს, საქართველოს პასპორტს ან/და სამგზავრო დოკუმენტს;
- საზღვარგარეთ ყოფნის შემთხვევაში, საზღვარგარეთ ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტს (სასწავლო ვიზა, ცხოვრების ნებართვა, ცნობა მუშაობის უფლების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ორ სარეკომენდაციო წერილს;
- სერთიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.3. საგრანტო წინადადება უნდა მოიცავდეს:

- თუ როგორ, რა მეთოდებითა და საშუალებით უზრუნველყოფს განმცხადებელი სამუშაოს/ მომსახურების შესრულებას;
- გრანტის ოდენობას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს განმცხადებელი სამუშაოს/ მომსახურების შესრულებას;
- დეტალურად გაწერილ პროექტის ბიუჯეტს;
- შესრულების ვადას;
- მოსალოდნელ შედეგს.

8. გრანტით მიღებული სახსრებით შეძენილი ქონება

პროექტის ფარგლებში გრანტით მიღებული სახსრებით შეძენილი ქონება რჩება იმ ფიზიკური/იურიდიული პირის საკუთრებაში, ვისი სარგებლობისთვისაც იქნა ეს ქონება შეძენილი.

9. საგრანტო კონკურსის გამოცხადების ვადები

საგრანტო განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია 2019 წლის 14 მაისიდან - 14 ივნისის ჩათვლით.

9.1. საგრანტო განაცხადი არ განიხილება, თუ იგი წარმოდგენილ იქნა მითითებული ვადების დარღვევით ან/და არასრული სახით.

9.2. საგრანტო განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების (ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის) მიღება მითითებული ვადების გათვალისწინებით ხდება მხოლოდ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე - diaspora@mfa.gov.ge;

10. საგრანტო კონკურსის ორგანიზება

კონკურსის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.